ბიძინა ივანიშვილი

თქვენ ხართ მილიარდერი და პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი. 2012 წელს, პარტიის ლიდერობისას, დაპირდით ხალხს დიდ ეკონომიკურ ცვლილებებს – ახალ ქარხნებს, სამუშაო ადგილებსა და ეკონომიკის სწრაფ ზრდას, რის გამოც მრავალი ადამიანი ენდო თქვენს სიმდიდრესა და ხედვას. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით დატოვეთ ოფიციალური თანამდებობები, დღემდე რჩებით ყველაზე ძლიერ ფიგურად კულისებს მიღმა – აკონტროლებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და გავლენას ახდენთ როგორც პარლამენტზე, ისე „ქართულ ოცნებაზე“. ბოლო რეფორმების უმეტესობა თქვენი ინტერესების სასარგებლოდ ტარდება.

საზოგადოებრივი აზრი: ბევრი დაპირება – სამუშაო ადგილები და ქარხნები – არ შესრულდა. კრიტიკოსები აცხადებენ, რომ თქვენ იყენებთ ხალხის იმედებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად და სინამდვილეში კულისებიდან მართავთ პროცესებს. მოქალაქეები მოტყუვდნენ თქვენი სიმდიდრით, რადგან მათ ნაწილს სჯეროდა, რომ საკუთარი ფულით შეასრულებდით წინასაარჩევნო დაპირებებს.

რჩევები როლისთვის: შეგიძლიათ თავისუფლად აწარმოოთ მოლაპარაკებები, შექმნათ ალიანსები და დადოთ გარიგებები. თქვენი ძალა იმალება კულისებში – არ მოქმედებთ როგორც ოფიციალური კანონმდებელი, მაგრამ თქვენი გადაწყვეტილებები განსაზღვრავს, რა ქმედებებს შესრულებას შეძლებს მთავრობა. სხვა მონაწილეებს შეიძლება თქვენი ეშინოდეთ ან თქვენი მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდნენ.

სალომე ზურაბიშვილი

თქვენ პრეზიდენტად აგირჩიეს „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით, და თავიდან ბევრი ფიქრობდა, რომ პარტიის მარიონეტი იქნებოდით. მაგრამ დროთა განმავლობაში ხმა აიმაღლეთ მათ პოლიტიკაზე და გამოიყენეთ ვეტოს უფლება ისეთი კანონებზე, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ევროპულ მომავალს, მაგალითად – როგორიც იყო „რუსული კანონი“. თქვენ დაუპირისპირდით მმართველ პარტიას და პროტესტში ხალხთან ერთადაც კი მიიღეთ მონაწილეობა. თქვენი ოფიციალური ძალა სუსტია (პარლამენტს მაინც შეუძლია ვეტოს შემდეგ კანონის მიღება), მაგრამ თქვენი სიმბოლური გავლენა ძლიერია – ხალხი გიწოდებთ „ხალხის პრეზიდენტს“. თქვენ გენდობიან უფრო მეტად, ვიდრე სხვა პოლიტიკოსებს და თქვენი ხმა საზოგადოებრივი მორალური ავტორიტეტია. მოლაპარაკებებისას ვერ გასცემთ ბრძანებებს, მაგრამ შეგიძლიათ შთააგონოთ, წაახალისოთ და გააერთიანოთ სხვები.

საზოგადოებრივი აზრი: მოქალაქეები და პროტესტის მონაწილეები გხედავენ როგორც სანდო ფიგურას და „ხალხის პრეზიდენტს“, მაშინაც კი, როცა ახალი პრეზიდენტი მიხეილ ყავლელაშვილი მოდის ხელისუფლებაში. თქვენი ქმედებები „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ და ევროპული კურსის მხარდასაჭერად ბევრისთვის პატივსაცემია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სკეპტიკურად გიყურებთ, ბევრი თქვენ მორალურ ადამიანად და საქართველოს ევროპული გზის დამცველად გთვლით.

რჩევები როლისთვის: აქტივობაში თქვენი მიზანია მოახდინოთ ზეგავლენა, შთააგონოთ და გააერთიანოთ სხვა მონაწილეები ისე, რომ შეიქმნას ალიანსი მმართველი პარტიის წინააღმდეგ. თქვენი ძალა მორალურ ავტორიტეტსა და ხალხის მხარდაჭერაშია, და არა ოფიციალურ ხელისუფლებაში. გამოიყენეთ თქვენი პოზიცია თანამშრომლობისა და მოლაპარაკებების წასახალისებლად და დემოკრატიული რეფორმების გასატანად.

მიხეილ ყაველშვილი

თქვენ ხართ საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი, რომელიც 2024 წლის საკამათო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აგირჩიეს. მთელი ცხოვრება პროფესიონალი ფეხბურთელი იყავით და არ გაქვთ უმაღლესი განათლება.

საზოგადოებრივი აზრი: ბევრი ადამიანი თვლის, რომ თქვენი არჩევა მიუთითებს იმაზე, რომ „ქართულ ოცნებას“ შეუძლია ნებისმიერი ადამიანი დააყენოს პრეზიდენტად და ასე შეინარჩუნოს სრული კონტროლი ქვეყანაზე. მეორეს მხრივ, "ქართული ოცნების "მხარდამჭერები თვლიან, რომ ყველაფერი კანონიერად და წესების დაცვით მიმდინარეობს. თქვენი როლი ძირითადად სიმბოლურია. არ გჭირდებათ მოლაპარაკება ან დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება – უბრალოდ ასრულებთ "ქართული ოცნების " ლიდერების განკარგულებებს. მოქალაქეები და საერთაშორისო აქტორები გაკვირდებიან, მაგრამ თქვენი გავლენა შემოიფარგლება მითითებების შესრულებით და ქვეყნის ოფიციალური ხელმძღვანელის სახის შენარჩუნებით.

რჩევები როლისთვის:სიმულაციაში მოქმედებთ მხოლოდ „ქართული ოცნების“ მითითებების მიხედვით. შეგიძლიათ ურთიერთობა სხვა მონაწილეებთან, მაგრამ თქვენი ქმედებები არ არის დამოუკიდებელი – ისინი უნდა ემთხვეოდეს პარტიის ინტერესებს. თქვენი მთავარი ამოცანაა შექმნათ მმართველი პარტიის დღის წესრიგის განხორციელების ილუზია და შეინარჩუნოთ პრეზიდენტის ავტორიტეტული იმიჯი.

შალვა პაპუაშვილი

თქვენ ხართ პარლამენტის თავმჯდომარე და ერთგული წევრი „ქართული ოცნებიდან“. თქვენი მთავარი ამოცანაა დაიცვათ პარტიის დღის წესრიგი, გაატაროთ კანონები, რომლებიც აძლიერებს „ქართული ოცნების“ კონტროლს, და უზრუნველყოთ, რომ პარლამენტი დარჩეს მმართველი ლიდერობის ხაზზე. ხშირად უპირისპირდებით ოპოზიციას და საჯაროდ ამართლებთ საკამათო პოლიტიკურ კურსს, როგორც სტაბილურობისთვის აუცილებელს. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში მუშაობდით დასავლურ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში, ახლა ხართ ევროკავშირის საწინააღმდეგო კურსის ერთ-ერთი მთავარი დამცველი, რათა შეინარჩუნოთ ძალაუფლება.

საზოგადოებრივი აზრი: მოქალაქეები და კრიტიკოსები აღგიქვავენ პარტიულ ერთგულ წევრს, რომელიც პარტიის ინტერესებს აყენებს დემოკრატიულ ღირებულებებსა და მოქალაქეების საჭიროებებზე წინ. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები კი თვლიან, რომ ხართ განათლებული და სანდო პოლიტიკოსი.

რჩევები როლისთვის: სიმულაციაში თქვენი ამოცანაა შეინარჩუნოთ პარტიული დისციპლინა,იმუშაოთ კანონებზე, აწარმოოთ მოლაპარაკებები პრო-სახელისუფლებო პოზიციიდან და აქტიურად გაამართლოთ მთავრობის ყველა ქმედება. შეგიძლიათ ითანამშრომლოთ სხვა „ქართული ოცნების“ წევრებთან, მედიასთან და საერთაშორისო აქტორებთან, მაგრამ თქვენი მთავარი პრიორიტეტი პარტიის ინტერესების დაცვაა.

ირაკლი კობახიძე

თქვენ ხართ საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ბიძინა ივანიშვილის უახლოესი მოკავშირე — ამ პოზიციამდე ხანგრძლივი ერთგულების შედეგად მოხვედით. აქტიურად იცავთ „ქართული ოცნების“ პოლიტიკას და ხშირად იყენებთ მკაცრ რიტორიკას ევროკავშირის, ოპოზიციური პარტიებისა და დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ. საერთაშორისო პარტნიორების კრიტიკას წარმოაჩენთ როგორც „შანტაჟს“ და საკუთარ გადაწყვეტილებებს წარმოაჩენთ როგორც საქართველოს სუვერენიტეტის დაცვას.

საზოგადოებრივი აზრი: მოქალაქეები (მხარდამჭერები) გხედავენ როგორც მყარ პოზიციაზე მდგომ პოლიტიკოსს, რომელიც პარტიის კონტროლს დემოკრატიასა და სამოქალაქო თავისუფლებებზე მაღლა აყენებს. მრავალი პროტესტის მონაწილეს პასუხისმგებლად გთვლით ევროკავშირთან დაახლოების პროცესის შეჩერებაზე და სხვა სადავო გადაწყვეტილებებზე. მეორე მხრივ, პარტიის მხარდამჭერები გთვლიან გამბედავად (რადგან „ არ დაემორჩილეთ ევროკავშირის ზეწოლას“).

რჩევა როლისთვის: თამაშში თქვენი მთავარი ფოკუსი არის მთავრობის დღის წესრიგის წინ წამოწევა, კანონების დაცვა და ოპოზიციის გავლენის შეზღუდვა. შეგიძლიათ ითანამშრომლოთ "ქართული ოცნების" წევრებთან, სამთავრობო მედიასთან და საერთაშორისო აქტორებთან, მაგრამ თქვენი ძირითადი ამოცანაა მკაცრი კონტროლის შენარჩუნება და მმართველი პარტიის დომინაციის შენარჩუნება.

მამუკა ხაზარაძე

თქვენ ხართ ბიზნესმენი და „ლელოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. პარტიის, რომელიც ცდილობს სხვადასხვა ოპოზიციური ჯგუფების გაერთიანებას. თქვენ ორიენტირებული ხართ ეკონომიკურ რეფორმებზე, ბიზნეს-მეგობრულ პოლიტიკაზე და ევროპულ ინტეგრაციაზე. თქვენი როლია მხარი დაუჭიროთ მოდერნიზაციაა და აჩვენოთ, რომ ოპოზიცია შეიძლება იყოს არა მხოლოდ რადიკალური, არამედ კონსტრუქციულიც . თქვენი ინტერესია კოალიციების შექმნის გზით „ქართული ოცნების“ მონოპოლიის დანგრევა.

საზოგადოებრივი აზრი: მოსახლეობის დიდი ნაწილი თქვენ მიმართ ძლიერ უარყოფითად არის განწყობილი, რადგან თქვენ ხართ ერთ-ერთი უდიდესი ბანკის მფლობელი. ბევრმა ადამიანს აღებული ჰქონდა სესხები, და ზოგიერთმა მათგანმა სახლი დაკარგა ბანკის პოლიტიკის გამო. როდესაც ხალხი გაკრიტიკებთ ბანკირობის გამო და გადანაშაულებთ უსამართლო სესხებიდან მოგების მიღებაში, თქვენ პასუხობთ, რომ თქვენი ბიზნესის გამოცდილება დაგეხმარათ ეკონომიკის გააზრებაში და გაქვთ უნარი რომ განავითაროთ სისტემა.

რჩევა როლისთვის: წარმოაჩინეთ თავი, როგორც ბიზნესმენი, რომელიც პოლიტიკაში შემოვიდა საქართველოს მოდერნიზაციისა და ევროპის ინტეგრაციისთვის. შეეცადეთ წარადგინოთ თავი როგორც „მესამე ალტერნატივა“ ორ რადიკალ ოპოზიციას შორის.

სამთავრობო მედია

ეს მედია საშუალებები მხარს უჭერენ მთავრობისა და მმართველი პარტიის ნარატივებს.ისინი მკვეთრად წარმოაჩენენ მთავრობის წარმატებებს, აკნინებენ პროტესტებს და ხშირად ოპოზიციას დესტაბილიზაციის გამომწვევ ან უცხოელ აქტორებთან კავშირში მყოფ ადამიანებად წარმოაჩენენ.მათი ინტერესი არის საზოგადოებრივი აზრის ფორმირება „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, მთავრობისადმი ნდობის შენარჩუნება და კრიტიკული მედიის გავლენის შემცირება. თქვენ ხართ აქტიური პროსამთავრობო პროპაგანდის მთავარი წყარო, მაგალითად: თქვენ აქტიურად აქვეითებთ აკნინებთ პროევროპულ დემონსტრაციებსა და მომიტინგეებს, რაც ბოლო თვეების განმავლობაში ხდება საქართველოში, ადანაშაულებთ მომიტინგეების ფინანსურ მოგებაში პროტესტებში მონაწილეობისთვის და პროტესტებს ქვეყანაში დესტაბილიზაციის მთავარ წყაროდ წარმოაჩენთ.

პაველ ჰერჩინსკი

თქვენ ხართ ევროკავშირის ელჩი თბილისში. ევროკავშირის ინსტიტუტებსა და საქართველოს შორის ხიდის როლს ასრულებთ. ხშირად უკეთებთ შეფასებს დემოკრატიულ სტანდარტებს, არჩევნებსა და ადამიანის უფლებებს . თქვენი ინტერესია საქართველოს ევროკავშირის გზაზე შენარჩუნება, რეფორმების განხორციელების უზრუნველყოფა და მთავრობაზე ზეწოლა, რათა პატივი სცეს კანონის უზენაესობას. ხშირად განიცდით მტრულ რიტორიკას მთავრობისგან,თუმცა საქართველოში, საერთაშორისო საკითხებში მთავარ ხმად ითვლებით.